



იმისთანა წმინდა საცემში, ბოგბოღ ბუქ-
უდის სიფყვას, ცუდილოებით და ჭბრბით ბუბ-
თის გაფანა ყულა უჯანსიბთაზე უსაბაგლსია.



გამოდის 1918 წლის
25 ივლისიდან

რესპუბლიკა

პარასკევი-კვირა, 14-16 მაისი. 2021 წ. №103-104 (9222-9223)

ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ფასი 1 ლარი

არადა, როგორ ველოდით!

15 მაისს ოპოზიციის მიერ დაგეგმილი მიტინგი აღარ განიმართება!



ერთიანი ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარის, ნიკა მელიას თქმით, 15 მაისს ოპოზიციის მიერ დაგეგმილი აქციის გამართვის მიგანთქონილობა აღარ არსებობს. მე მგონი, ეს ისედაც ცხადი იყო!

მელიას თავხედობას გაღაგაბია! 5



ნაცები განისიზღნენ სააკაუპილიტ

85 მლნ ევრო საქართველოში სამუშაო ადგილების შექმენსა და პანდემიისგან დაზარალებული ფირმების მხარდასაჭერად 5

კალაქა ოთხნობიანი მონაგრის „გამოფანას“ ინჟინერს 5

თავდაცვის მინისტრი:

ახალი „ჯაველინები“ გვექნება!



მთავარ სტრატეგიულ პარტნიორთან, აშშ-სთან თანამშრომლობით იგეგმება „ჯაველინების“ დამატებითი პარტიის შექმნა, – ამის შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ჯუანშერ ბურჭულაძემ საქართველოს პარლამენტში „მინისტრის საათის“ ფორმატში სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.
მინისტრმა თავდაცვის ძალების შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით განხორციელებულ მნიშვნელოვან ნაბიჯებზე ისაუბრა, მათ შორის ხაზგასმით აღნიშნა ჯავშანსატანკო და მექანიზებული ქვედანაყოფების წინააღმდეგ ეფექტური საშუალებების შესყიდვის მნიშვნელობა. თავდაცვის ძალების მაღალი მზადყოფნის უზრუნველებისა და მისი მეტად ამალღების მიზნით, კრიტიკულად მნიშვნელოვანია თავდაცვის შესაძლებლობების გაძლიერება განსაკუთრებით თანამედროვე, ნატოს სტანდარტების შეიარაღების დანერგვის გზით.

სამადლობელი

ცოცხალი
ნახსოვი 7




სამი გიგანტი და ნითელი ფული!

ვანგას მთავარი პროგნოზები 2021 წლისთვის 12

ნეინდა მიწა სეხსლის აღზია!



გენიამინ ნეთანიკუ:
ვერაფერი გაამართლებს
არაბების მიერ ებრაელების
ლინჩის წესით გასამართლებას!



გაკველ აბასი:
პალესტინელები
თავიანთ ქვეყანას
არასოდეს დატოვებენ!



ნ. 8 გვ.



საქართველოს მთავრობის საივნი საივნი აქვს მყარი არგუმენტები, რომლებსაც ევროპულ სასამართლოში წარადგინს



იუსტიციის სამინისტრო პროცედურებს განმარტავს

უზნეო სააკაშვილის, მელიასა და უბუღაშვილს სარჩელები სტრასბურგში!

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო მიხეილ სააკაშვილის, ნიკა მელიასა და გიგი უბუღაშვილს სტრასბურგის სასამართლოში გაგზავნილ საქმეებთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.

უწყების ცნობით, სტრასბურგის სასამართლო სარჩელებს სტანდარტული პროცედურით განიხილავს და გადაწყვეტილების მიღებას სულ მცირე ორი წელი დასჭირდება.

„იუსტიციის სამინისტრო, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში მიმდინარე საქმეებთან დაკავშირებით, რომელთა ფარგლებშიც მიხეილ სააკაშვილი, ნიკანორ მელია და გიგი უბუღაშვილი საქართველოს უჩივიან, პროცედურებს განმარტავს და აცხადებს, რომ სამივე საქმე განხილვის საწყის ეტაპზეა და ახლა იწყება მხარეების მიერ პოზიციებისა და მტკიცებულებების წარდგენა.“

საქართველოს მთავრობას სამივე საქმეზე აქვს მყარი არგუმენტები, რომლებ-

საც ევროპულ სასამართლოში წარადგენს. სამივე მომჩივნის საქმეს – სააკაშვილი, მელია და უბუღაშვილი საქართველოს წინააღმდეგ – სტრასბურგის სასამართლო სტანდარტული პროცედურით განიხილავს, რაც ნიშნავს იმას, რომ სასამართლო მომჩივნებისგან და საქართველოს მთავრობისგან მიიღებს 2-2 წერილობით პოზიციას მტკიცებულებებთან ერთად და ამის საფუძველზე გადაწყვეტილებას გამოიტანს. მხარეების მიერ პოზიციების გაცვლას და სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებას, სულ მცირე, ორი წელი დასჭირდება.

მიხეილ სააკაშვილი დავობს, რომ სანდრო გირგვლიანის მკვლელების შეწყობის გამო მის მიმართ დამდგარი განა-

ჩენი ევროპულ კონვენციის ეწინააღმდეგება. ევროპული სასამართლო საკუთარ კორესპონდენციაში უთითებს, რომ ეს სწორედ ის საქმეა, რომელზეც თავად სტრასბურგის სასამართლომ დაუდგინა საქართველოს დარღვევა 2011 წლის 26 აპრილს საქმეზე „ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ“. სააკაშვილი აგრეთვე მიიჩნევს, რომ ევროპულ კონვენციასთან შეუსაბამოა საქართველოს სამი ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებები, რომლებიც დადასტურდა, რომ 2005 წლის 14 ივლისს პარლამენტის წევრის, ვალერი გელაშვილის, სასტიკი ცემა მიხეილ სააკაშვილის პირადი დავალებით განხორციელდა, რის გამოც მას მიესაჯა ექვსი წლით თავისუფლების აღკვეთა.

ნიკანორ მელიას მტკიცებით, 2021 წლის 23 თებერვალს მისი დაკავება არ შეესაბამება ევროპული კონვენციის მოთხოვნებს. სასამართლო საქართველოსთვის გამოგზავნილ კორესპონდენციაში აღწერს, რომ მელიას დაკავებას წინ უძღოდა 2020 წლის 1 ნოემბერს მის მიერ სამაჯურის მოხსნა და შემდეგ გირაოს გადახდაზე უარის თქმა, რის შემდეგაც თბილისის საქალაქო სასამართლომ მელიას წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

გიგი უბუღაშვილს საჩივარში დავობდა საქართველოში მის მიმართ დასრულებულ და მიმდინარე ყველა სისხლის სამართლის საქმეზე: 1) ე.წ. თბილისის განვითარების ფონდის ეპიზოდი, რომლის ფარგლებში უბუღაშვილს მსჯავრდებულთა სახელმწიფო ქონების დიდი ოდენობით მითვისება-გაფლანგვისთვის; 2) ე.წ. რიყის ეპიზოდი; 3) ე.წ. თბილესერვის ჯგუფის ეპიზოდი, რომლის ფარგლებშიც უბუღაშვილს მსჯავრდებულთა უფლებამოსილების გადამეტებისთვის; 4) 2019 წლის 11 დეკემბერს თბილისის აეროპორტში მომხდარი ინციდენტი, რომლის ფარგლებშიც უბუღაშვილს ბრალდება უკვე დასაბუთების გამო.

2021 წლის მდგომარეობით სტრასბურგის სასამართლო განიხილავს 64 850 საქმეს. ბოლო წლების განმავლობაში მკვეთრად შემცირდა საქართველოს მიმართ შესული საჩივრების რაოდენობა. კერძოდ, სტატისტიკის თანახმად, 2011 წლისთვის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წარმომადგენელი იყო საქართველოს წინააღმდეგ შეტანილი 3045 საქმე, ხოლო 2020 წლის ბოლოს არსებული მონაცემებით, ევროპული სასამართლო საქართველოსთან მიმართებით მხოლოდ 532 საქმეს განიხილავს, – აცხადებენ იუსტიციის სამინისტროში.

პირთხამ თხარა, თხარაო... ციხე გაერთხარაო!... მიჩაოს გადახდა არ ნიშნავს, რომ საქმე დასრულია და თუ მელია უარს იტყვის ამისტიას, იგი უსაქლოა, კვლავ დააკავონ...

ფრანკი „ქართული ოცნების“ ამნისტიის კანონპროექტში ვკითხულობთ: „სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლდეს ყველა პირი, რომელმაც 2019 წლის 19-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებით ჩაიდინა დანაშაული და ამ კანონით დადგენილი წესით უარს არ აცხადებს მის მიმართ ამნისტიის გავრცელებაზე“.

ალკვეთის ლონისძიების შეცვლის შემდეგ, საპატიმროდან გამოსვლა „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ნიკა მელიამ თქვა, რომ „ქართული ოცნების“ მიერ მომზადებულ ამნისტიის პროექტს არ დაეთანხმება.

კონსტიტუციონალისტები აღნიშნულ საკითხზე კომენტარებისას გამოიხატა, რომ თუკი ოპოზიციონერ პოლიტიკოსზე ამნისტია არ გავრცელდება, მასზე სისხლის სამართლებრივ საქმეზე დევნა გაგრძელდება და საბოლოოდ, შესაძლოა, ნიკა მელია კვლავ საპატიმროში ვიხილოთ.

„არავინ იფიქროს ოლიგარქის სამსახურში, რომ მე, შეიძლება, ამნისტიის წინააღმდეგი არ ვიყო. გამორიცხულია გაგრძელდეს სისხლის სამართლის საქმე!“ – თქვა ნიკა მელიამ.

კონსტიტუციონალისტი ვახტანგ ხმაღალი ამბობს, რომ ნიკა მელიასთვის გირაოს გადახდა საქმის დასრულებას არ ნიშნავს. იგი არც იმას გამოიხატავს, რომ სასამართლოს დადგენილებით, „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე კვლავ გისოსებს მიღმა აღმოჩნდეს.

„გირაო, ისევე როგორც პატიმრობა თუ ელექტრონული სამაჯური, არის თავისუფლების შეზღუდვის სხვადასხვა სახეები. ამჯერად, მელიას შეფარდებული აქვს გირაო, რომელიც გადაიხდა ევროკავშირმა და ეს არ ნიშნავს იმას, რომ არ გაგრძელდება სასამართლოში მელიასთვის წარდგენილი ბრალის განხილვა.“

თუ ამნისტია არ გამოცხადდება, მაშინ სასამართლომ უნდა განიხილოს ეს საქმე და მიიღოს გადაწყვეტილება. ამნისტიის გარეშე არ არის გამორიცხული, რომ სასამართლომ გამოიტანოს გამამტყუნებელი განაჩენი მელიას მიმართ. თუ გავითვალისწინებთ სასამართლოს დამოკიდებულების ხარისხს პოლიტიკურ ხელისუფლებაზე, ამის საკმაოდ მაღალი ალბათობა არის, რომ მან გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანოს.

ამნისტიის შემთხვევაში კი შეწყდება სისხლის სამართლებრივი დევნა, ასევე სასამართლო განხილვა და არანაირი საფრთხე მელიას თავისუფლებას უკვე აღარ შეეხება. თუ ამნისტია არ გამოცხადდება, არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჩამოერთმევა, თუკი სასამართლომ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი და შეუფარდა პატიმრობა“, – თქვა ხმაღალმა For.ge-სთან.



კონსტიტუციონალისტი ავთანდილ დემეტრაშვილი აღნიშნავს, რომ, იმ შემთხვევაში, თუკი ნიკა მელია უარს იტყვის ამნისტიაზე, მასზე იგი არ გავრცელდება, რაც გარკვეულწილად ეწინააღმდეგება კონსტიტუციას.

„თუ დარჩება ის ჩანაწერი, რაც დღევანდელ ვერსიაში არის, ამნისტია არ გავრცელდება იმ პირზე, ვინც უარს იტყვის ამნისტიაზე, გაგრძელდება სისხლის სამართლის საქმე, რომელიც ნიკა მელიას წინააღმდეგ არ არის შეწყვეტილი. ამ შემთხვევაში არ შეეხება ამნისტია, ანუ არ გაუქმდება ბრალდება, რომელიც წაყენებული აქვს.“

დათქმა არის კანონში, რომ ამნისტია გავრცელდება 20-21 ივნისის მოვლენებში მონაწილე იმ პირებზე, რომლებიც უარს არ იტყვიან. თავისთავად ეს ნორმა არის სადავო, შეიძლება კონსტიტუციას ეწინააღმდეგება კიდევაც. თუ დარჩა ეს ნორმა, ამნისტია არ შეეხება მელიას და როგორც არის მისი სისხლის სამართლის საქმე დღეს არსებული, გაგრძელდება მანამ, სანამ, არსებობდა არ გადაწყდება და არ იქნება განხილული“, – თქვა ავთანდილ დემეტრაშვილმა For.ge-სთან.

შეგახსენებთ, ნიკა მელია ბრალდებულია 2019 წლის 20-21 ივნისს, პარლამენტთან გამართული ანტისაოკუპაციო საპროტესტო აქციისას პარლამენტის შენობაში შეჭრის მცდელობის საქმეზე, ჯგუფური ძალადობის ხელმძღვანელობის და მასში მონაწილეობის მუხლით.



ნიკო როხელი



ევროკავშირმა კრიზისი მოგვიგვარა, მაგრამ... როგორცია ეს არ ესმის!

კრიზისი, პოლიტიკური თუ, გაფრთხილება ევროკავშირისგან?

როინტეგრაციის პროგრამის მენეჯერი ვანო ჩხიკვაძე:

„ჩემი აზრით, როგორც არ უნდა აფასებდნენ მას პოლიტიკოსები, თავად შეთანხმება ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის წარმატებაა. შეთანხმებაში არსებულ პუნქტებს შორის ყველაზე ადვილად მოსაგვარებელი იყო მართლმსაჯულების საკითხი, მათ შორის, პოლიტიკური ლიდერების და ვიქტორი, ეს (გირაოს გადახდა – რედ.) იყო მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რომელმაც გზა უნდა გაუხსნას პოლიტიკური პარტიების, მათ შორის, ენმ-ს დაბრუნებას პარლამენტში, რამაც შემდეგ შეთანხმების ძირითადი პუნქტების, მათ შორის მართლმსაჯულების, საარჩევნო რეფორმის განხორციელება უნდა უზრუნველყოს“.

ანალიტიკოსის ანალიზის თანახმად, სადღეისოდ საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებში მასშტაბური მიზანი არ ჩანს:

„მაგალითად, თავის დროზე გვექონდა ამბიცია, გაგვეფორმებინა ასოცირების შეთანხმება და მივიღოთ მუშაობა; იყო ვიზალიბერალიზაცია და ყველა ამ საკითხზე მუშაობდა. დღეს მსგავსი კონკრეტული ნიშნული, რასაც გვსურს, მივალწით და არის შეთანხმებული ევროკავშირთან, პორიზონტზე არ ჩანს. ჩვენი მხრიდან დაანონსებულია 2024 წელს ევროკავშირზე განაცხადის გაკეთება, მაგრამ ევროკავშირის მხრიდან დადებითი მუსიკა არ მოდის. არავის უთქვამს, რომ ეს განაცხადი აუცილებლად უნდა გაკეთდეს და დაგვეხმარებოდნენ. ამას თავისი საფუძვლებიც აქვს: იმ პირობებში, როგორც ჩვენ, როგორც სახელმწიფოს გვინდოდა ფუნქციონირება, ალბათ, ნაადრევად შეიძლება, იყოს ამაზე ლაპარაკი. განაცხადი აუცილებლად უნდა გაკეთდეს, მაგრამ მანამდე ხვერი სხვა ნაბიჯია გადასადგმელი – სახლის მშენებლობა სასურავიდან არ უნდა დავინწყით: გვეჭირდება მართლმსაჯულების რეფორმა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, უმცირესობების უფლებების დაცვა, სოციალური საკითხების მოგვარება. ამის შემდეგ შეგვეძლება, წელგამართულები შევიდეთ და არა მონყალეების სათხოვნელად...“

სამთავროს პატიმრობის შემდეგ, ენმ-ის თავმჯდომარის ნიკა მელიას პატიმრობიდან გათავისუფლების „სპეცოპერაცია“ (როგორც პროცესს დეპუტატმა მამუკა მდინარაძემ უწოდა) დასრულდა და ამ ნაბიჯით ევროპული საბჭოს პრეზიდენტის შარლ მიშელის ეგიდით შედგენილი შეთანხმების დოკუმენტის მეორე პუნქტიც შესრულდა. თუმცა ტრადიციულად, სახელისუფლებო გუნდისა და ოპოზიციის წარმომადგენლები რადიკალურად განსხვავებულად წარმოუდგენენ საზოგადოებას პროცესს: მმართველ გუნდში ირწმუნებიან, რომ ევროკავშირის მიერ მელიასთვის წინმსწრებად გადახდილი გირაო სამართლებრივი პროცესის ნაწილია, ოპოზიციიდან „მოქალაქეები“ ფიქრობენ, რომ ევროკავშირმა უბრალოდ პოლიტიკური ვითარების სტაბილიზაციაში შეიტანა წვლილი, სხვა ოპოზიციონერი ლიდერები კი ევროკავშირის შესტში ნიკა მელიას პოლიტიკურ პატიმრად აღიარებას ხედავენ, აცხადებენ, რომ ორგანიზაცია „კრიზისი არ გამოიხსნა“ საპრობლემიდან.

მიუხედავად განსხვავებული პოზიციონირებისა, ფაქტია, რომ უპრეცედენტო მოვლენასთან გვაქვს საქმე როგორც სამართლებრივი ისე პოლიტიკური კუთხით: მელიას სისხლის სამართლის პრეცედენტულ საქმეს (გირაოს გირაოთი დამძიმებითა და შემდეგ არარსებულ გირაოს მოთხოვნით), კიდევ ერთი პრეცედენტი დაემატა – ევროკავშირის მიერ წინმსწრებად გადახდილი გირაოს თანხა. თავად გირაო კი მორიგ ვერზე სასამართლომ 10 მაისს შეუფარდა მელიას; ფაქტია, რომ მელიას ელექტრონული სამაჯური ევროკავშირის დაუჯდა 40 000 ლარი და როგორც „აქცენტს“ ევროკავშირში საქმიანობის მრავალწლიანი გამოცდილების ევროპარლამენტარი, ევროპარლამენტის სამხრეთ კავ-

კასიასთან ურთიერთობების დელეგაციის ხელმძღვანელი, ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების საპარლამენტო კომიტეტის თანათავმჯდომარე მარინა კალიშრანდი უდასტურებს, მსგავს პრეცედენტს აქამდე ადგილი არ ჰქონია.

„გირაოს გადახდა მედიაციის პროცესის ნაწილი იყო. შესაბამისად, ეს გახლდათ შეთავაზება ევროკავშირის შუამავლების მხრიდან, რათა მედიაციის პროცესი გამართლებულიყო. შუამავლების მხრიდან ეს გირაოს გადახდაც არის მკაფიო სიგნალი, რომ ევროკავშირი მონაწილეობს, დაეხმაროს საქართველოს კრიზისის მოგვარებაში, როცა ამის საჭიროება დგება“, – ამბობს „აქცენტთან“ ევროპული „მწვანეებისა და ევროპულთა თავისუფალი ალიანსის“ (Greens/EFA) წევრი, ჩეხი ევროპარლამენტარი მარკეტა ბრემლოვა.

ამასთან, ევროპარლამენტარი პასუხისმგებლობაზეც ამხსენებს ყურადღებას და ელის, რომ ევროკავშირის პოლიტიკური პატიმრების საქმის განხილვა აღარ მოუწევს, წინააღმდეგ შემთხვევაში, პროგნოზირებს, რომ ევროკავშირი უფრო მკაცრი იქნება:

„ის ფაქტი, რომ ეს ღონისძიება უპრეცედენტოა, ჩემი აზრით, აჩვენებს, რამდენად ღირებულია ჩვენი ურთიერთობა საქართველოსთან. თუმცა ეს არ არის პრეცედენტი ჩვენი ქვეყნის ყველა მიმართ და ყოველთვის. ევროკავშირი აქ არის დასახმარებლად, მაგრამ არა ცალმხრივად გამოყენებისთვის. როგორც საქართველოს პარტიიორი, ჩვენ აქ ვართ, რათა დაგვეხმაროთ და დაგვეხმაროთ განვითარებაში. თუმცა პარტიიორობაზე პასუხისმგებლობა ორივე მხარე უნდა აიღოს. ასე რომ, საქმე არ ეხება მხოლოდ ევროკავშირის გადახდას და სამაგიეროდ არაფრის მიღებას. ამ შემთხვევაში, ჩვენი პარტიიორისგან ველო-

დები, რომ მომავალში პოლიტიკატიმრების საქმის განხილვა აღარ მოგვინევს. თუ მაინც მოგვინევს, საქართველოს შეუძლია, არ ელოდოს, რომ ევროკავშირი კვლავ გასცემს. იგი მომავალში უფრო მკაცრი იქნება“.

ევროპარლამენტარი პეტრას აუსტრევიჩუსი გირაოზე ევროკავშირის მცდელობის კონტექსტში საუბრობს, დაეხმაროს საქართველოს პოლიტიკური კრიზისის დაძლევაში:

„ბატონი მელიასთვის გირაოს გადახდა გამოწვევის შემთხვევა იყო, რაც ევროკავშირის მხრიდან სერიოზულ ერთგულებას წარმოადგენს, დაეხმაროს საქართველოს პოლიტიკური კრიზისის დაძლევაში. ევროკავშირი მოელოდა, რომ ყველა ხელმომწერი მიღწეულ შეთანხმებას სრულფასოვნად და დროულად განახორციელებს. საქართველოს სანდოობა დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ შესრულდება ხელშეკრულება. ევროკავშირის ძალისხმევა, რომელიც მიმართულია საქართველოს პოლიტიკური პარტიების გაერთიანებისკენ და პოლიტიკური კრიზისიდან გამოსვლის გზის ძიებისკენ, არის ორგანიზაციის ერთგულების დასტური მისი ასოცირებული პარტიიორების მიმართ“.

გირაოს გადახდის თაობაზე ევროკავშირის გადაწყვეტილებას პოლიტიკური კრიზისის განმუხტვისა და შეთანხმების იმპლემენტაციისკენ გადადგმულ ნაბიჯად აფასებს „აქცენტთან“ ფონდ „ლია საზოგადოება-საქართველოს“ ევ-

„წმინდა გერმანული სარემონტო“ ...

„სამართლი-გერმანიის ეკონომიკური ურთიერთობები მუდმივად ვითარდება. პანდემიის მიუხედავად, 2021 წლის იანვარი – მარტში საქართველოს ექსპორტი გერმანიაში 40 პროცენტით გაიზარდა,“ – ამის შესახებ ქართულ-გერმანული ბიზნესდიალოგის ფარგლებში გამართულ რიგით მეორე შეხვედრაზე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა, ნათია თურნავამ განაცხადა. მისივე ინფორმაციით, აქტიურად მიმდინარეობს ორი ქვეყნის კერძო სექტორის თანამშრომლობა. თურნავას თქმით, საქართველოში დღეს 1000-ზე მეტი კომპანია მოქმედებს, სადაც გერმანული კაპიტალი მონაწილეობს. ამის მიუხედავად, განვითარების რესურსი ბევრად მეტია.

ნიმე სფეროზე იყო კონცენტრირებული, იქნებოდა ეს საფინანსო სფერო, სათამაშო ბიზნესი თუ ენერჯეტიკა. ამიტომ შექმნილი სამუშაო ადგილების მიხედვით, გერმანულ კაპიტალს აქვს საკმაოდ კარგი რეპუტაცია და პერსპექტივა. ვფიქრობ, მათი რაოდენობა ადვილად დასახვს ქართულ მეურნეობაში დარგობრივ მონაწილეობას ეკონომიკის განვითარებაში, – ამბობს არჩვადე და დასძენს, რომ გერმანული კაპიტალი, ეს არის ძირითადად ეკონომიკის რეალურ სექტორში განხორციელებული ინვესტიციები და ფაქტობრივად, ეკონომიკას ესმარება, რათა მოახდინოს შედარებით უკეთესი განვითარება.

„გერმანული კაპიტალი არ არის ოფშორული ზონებიდან შემოსული ფული, რომელსაც მავანი უკავშირდებიან წინა პერიოდებში საქართველოდან ან კონკრეტულ სუბიექტებთან დაკავშირებული კაპიტალის გატანას. ეს არის წმინდა უცხოური კაპიტალი, რომელსაც ქართული წარმომავლობა არ აქვს. შეიძლება, ქართველები მონაწილეობენ გერმანული კაპიტალის შემოტანაში, მაგრამ ეს არის ის ბიზნესი, რომელიც აწყობილია, ან მოხდა ქართველების მონაწილეობით გერმანიაში და შემდეგ უკვე ეკონომიკური სარგებლის გათვალისწინებით, ამიტომ სხვებთან შედარებით, მას საკმაოდ მაღალი რეპუტაცია გააჩნია, – ამბობს report.ge-თან სოსო არჩვადე.



სპეციალისტების შეფასებით, გერმანული კაპიტალი საქართველოში ლიდერი არ არის, მაგრამ აქვს რიგი უპირატესობები, რაც მას სხვა ქვეყნების ინვესტიციებისგან გამოარჩევს. ერთ-ერთი ასეთი ფაქტორი, როგორც სტატისტიკოსი სოსო არჩვადე განმარტავს, წმინდა გერმანული წარმომავლობაა, რაც ამ კაპიტალს ახასიათებს. გარდა ამისა, ის სეგმენტურად უფრო მრავალფეროვანია და მაღალი რეპუტაციითაა სარგებლობს.

ცნობილი ბულგარელი წინასწარმეტყველი მანბა (მანბალი პანდემია გუშტაროვა) 1996 წელს გარდაიცვალა, მაგრამ ადამიანები მის პროგნოზებს და წინასწარმეტყველებებს დღემდე გაფაციცებით კითხულობენ. ვნახოთ ისინი 2021 წლისთვის.

2020 წლის შუა პერიოდში გამოჩნდა ინფორმაცია, რომ ვანგამ კორონავირუსის გამოჩენა წინასწარმეტყველა. მისი პროგნოზით, მეცნიერები კორონავირუსის სამკურნალო საშუალებას ერთი წლის შემდეგ გამოიგონებდნენ.

ნათელმხილველმა ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილ პრეზიდენტს, დონალდ ტრამპს უცნაური დაავადება უწინასწარმეტყველა, რომლის გამოც შეიძლება დაყრუვდეს და ტვინის ტრავმა მიიღოს. ვანგამ ევროკავშირის ქვეყნებში მოსალოდნელი ტერორისტული აქტებისა და მსოფლიო კატაკლიზმების შესახებაც გაგვაფრთხილა. წინასწარმეტყველმა აღნიშნა, რომ 2021 წელს მსოფლიოს ძლიერი „დრაკონი“

საი გიგანტი და ნითელი ფული!



ვანგას მთავარი პროგნოზები 2021 წლისთვის

შეიყვრობს. ვარაუდობენ, რომ საუბარია ჩინეთზე, რომელიც დღეს არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ სამხედრო სფეროშიც მონიხვევ პოზიციებზეა.

„სამი გიგანტი გაერთიანდება და ზოგს ნითელი ფული ექნება. მე ვხედავ რიცხვებს 100, 5 და ბევრი ნული“, – ამბობდა ვანგა 2021 წლის შესახებ.

ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ნათელმხილველი გულისხმობდა რუსეთს, ჩინეთს და ინდოეთს, ხოლო ნითელი ფული 100 იუანი და 5000 რუბლი უნდა იყოს.

ნათელმხილველმა პოლარული ყინულის დნობის გამო მსოფლიო ოკეანეების დონის აწევაც წინასწარმეტყველა. ვანგას პროგნოზით, 2039 წლისთვის ბულგარეთი რუსეთს შეუერთდება, რომელიც იმ დროისთვის ჩინეთთან და ინდოეთთან იქნება ალიანსში.

ნათელმხილველმა აღნიშნა, რომ 2024 წლისთვის ევროპისა და აზიის უმეტეს ნაწილში მშვიდობისა და კეთილდღეობის ეპოქა დამყარდება, რომელიც ათასი წელი გაგრძელდება.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
 599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გომიასვილი
 599 53-76-16;
ალექს
ასლანიშვილი
 599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
 514 33-33-24

გამომცემლობა:
 შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
 599 53-76-16; 599 36-00-35

შპს „თანამშრომლობა“-ს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
 ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორი“
 ე. ბაღდავაძის №3

კოლორი ჰაუზი

uac(უაკ)070.4(479.22) ს-323

2 009882 616932

ავტორთა სახურა დღევანდელ!
 რედაქციის მიერ შეუქმნათვის მასალაში დანიშნულია ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაქმლვა, გუდაამ არ ემთხვევათ რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს ავებან ავტორები.

პარსკვლავთაშორის სივრცეში გაზის გუბუნი აღმოაჩინეს

NASA-ს კოსმოსური ზონდი „ვოიაჯერ 1“, რომელიც მზის სისტემის საზღვრებს გასცდა, დედამიწაზე მონაცემების გამოგზავნას აგრძელებს.




ამგერად, ამერიკელმა მეცნიერებმა გადმოგზავნილ ინფორმაციაში პლაზმური ტალღები – ვარსკვლავთა შორის გაზის მუდმივი გუბუნი აღმოაჩინეს. ასტრონომებს იმედი აქვთ, რომ „ვოიაჯერის“ მონაცემების შესწავლა შეასძლებლობას მისცემთ, გაარკვიონ როგორია ურთიერთქმედება ვარსკვლავთაშორის სივრცესა და მზის ქარს შორის.

„ვოიაჯერი 1“ ერთ-ერთია იმ ორი იდენტიური ხომალდიდან, რომლებიც NASA-მ 44 წლის წინ გაუშვა. ეს, ადამიანის მიერ შექმნილი, დედამიწიდან ყველაზე შორს მდებარე ობიექტია. 2012 წლის აგვისტოში მან პელიოპაუზა (მზის სისტემის გარე საზღვარი) გადაკვეთა და ახლა ვარსკვლავთაშორის სივრცეს იკვლევს. ის საათში 61 200 კილომეტრის სიჩქარით გადაადგილდება.

უსწაური თევზი

წმწარი ოკეანის სანაპიროზე, კალიფორნიაში უცნაური თევზი იპოვეს. თევზი შავი შეფერილობისა და აქვს წვეტიანი კბილები, ასევე ანევის მსგავსი წარმონაქმნი თავზე, რომელიც ღრმა წყალში სანათის როლს ასრულებს.




სპეციალისტების შეფასებით, ეს „თევზი ფეხბურთის ბურთია“ (Footballfish), რომლის ნახვაც ოკეანის ზედაპირზე იშვიათადაა შესაძლებელი. თევზი წყალში ბურთის ფორმას იღებს, მისი სახელწოდებაც აქედან წარმოიქმნა. თევზს თავისუფლად შეუძლია სხეულის ზომის მსხვერპლის გადაყლაპვა. იშვიათი თევზი მეცნიერებმა სანაპიროს მსხვერპლის გადაყლაპვა. იშვიათი თევზი მეცნიერებმა სანაპიროს მსხვერპლის გადაყლაპვა. იშვიათი თევზი მეცნიერებმა სანაპიროს მსხვერპლის გადაყლაპვა.

ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 102 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.
 ჩვენი ანგარიში: №GE19TB7601536020100009.
 (შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

რატომ განქორწინდნენ ბეიტსები?


ამერიკულმა გაზეთმა Wall Street Journal-მა ბილ და მელინდა გეითსების განქორწინების მიზეზი გაარკვია. გამოცემის ცნობით, მელინდა გეითსი განქორწინებას თავის იურისტთან მინიმუმ 2019 წლიდან განიხილავდა.



როგორც გაზეთი წერს, წყვილის დაშორების ერთ-ერთი მიზეზი Microsoft-ის დამაარსებლის ფინანსისტი ჯეფრი ეშტიინთან კავშირი გახდა. ეს უკანასკნელი არასრულწლოვანთა ტრეფიკინგისა და პროსტიტუციაში ჩაბმის ბრალდებით 2019 წლის 7 ივლისს დააკავეს. გამოძიების მტკიცებით, ბრალდებულმა დანაშაული 2002 და 2005 წლებში ნიუ-იორკსა და ფლორიდაში ჩაიდინა. იმავე წლის 10 აგვისტოს მილიარდერმა საკანში თავი მოიკლა. ეშტიინის სიკვდილმა შეთქმულების თეორიები გააჩინა. როგორც ბილ გეითსის პრეს-მდივანმა განაცხადა, ბიზნესმენები მხოლოდ ქველმოქმედებას განიხილავდნენ. ამასთან, მილიარდერი ამ შეხვედრებს ნაწილს და აღიარებს, რომ ეს შეცდომა იყო. ბილ და მელინდა გეითსები 27-წლიან ქორწინებას ასრულებენ.

უსუსანი მსახიობი ბარდაისკალა

მსოფლიოში უხუცესი მსახიობი ნორმან ლოიდი 106 წლისა საკუთარ სახლში, ლოს ანჯელესში გარდაიცვალა.
 ნორმან ლოიდი 1914 წლის 8 ნოემბერს დაიბადა და თავისი კარიერა 1923 წელს დაიწყო. ის 60-მდე ფილმშია გადაღებული. ასევე ის მონაწილეობს ჩარლი ჩაპლინის ფილმში „რამპის ჩირაღდები“. მსცოვანი მსახიობი სიცოცხლის ბოლო დღემდე მუშაობდა.



სამეფო ოჯახის წონიდან – კოლივუდის წონაში...

ლონდონში მადამ ტიუსოს მუზეუმში პრინც ჰარისა და მეგან მარკლის ცვილის ფიგურები სამეფო ოჯახის ზონიდან კოლივუდის ზონაში გადაიტანეს.



ლონდონის მადამ ტიუსოს მუზეუმის გენერალურმა მენეჯერმა, ტიმ უოთერსმა განაცხადა, რომ პრინც ჰარისა და მეგან მარკლის ცვილის ფიგურები ამიერიდან მუზეუმის კოლივუდის ზონაში განთავსდება. მადამ ტიუსოს მუზეუმში მსოფლიოში ყველაზე დიდი და ცნობილი ცვილის ფიგურების მუზეუმია, რომელიც დიდი ბრიტანეთის დედაქალაქში, ლონდონში მდებარეობს.

გაზეთის მომავალი ნომერი გამოვა ორშაბათს, 17 მაისს

სა	უსწაური ვალუტის კურსი: აშშ დოლარი - 3.4271; ევრო - 4.1656; ბრიტანული პირაპნა სტერლინგი - 4.8418; 100 რუბლი - 4.6357; თურქული ლირა - 0.4136; აზერბაიჯანული მანათი - 2.0175; 1000 სომხური დრამი - 6.5653.	აპრილი 14 მაისისთვის აღმოსავლეთი საქართველო: ბარსი - ლაპი +11, ლაპი +30 შიშანი რაიონები - ლაპი +6, ლაპი +29 დასავლეთი საქართველო: ბარსი - ლაპი +16, ლაპი +36 შიშანი რაიონები - ლაპი +10, ლაპი +32 თბილისი: ლაპი +15, ლაპი +29	დაგვიკავით, მოგვწერათ: ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84 ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ვებ-გვერდი: www.sakresp.ge
----	---	---	--